

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება - სამართლი
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამართლის ბაკალავრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - სწავლის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი და მოიცავს მოიცავს 240 კრედიტს, 1 კრედიტი კი 25 ასტრონომიულ საათს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.
4. სწავლების ენა - ქართული
5. პროგრამის კოორდინატორი
  - ვეფხვია გვარამია - სსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
  - ხელმძღვანელები - პროფესორი მიხეილ მამნიაშვილი, ასოცირებული პროფესორები ია ხარაზი და ქართლოს ფრიდონაშვილი

**6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - სამართლის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით. ასევე სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შიდა და გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** - უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე სამართლის ბაკალავრის პროგრამის მიზანია განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე შრომით ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება. სამართლის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა მიმართულია სტუდენტისათვის სამართლებრივი საკითხების ცოდნა-გაცნობიერებასა და მიღებული ცოდნის გამოყენების სწავლებაზე. სტუდენტი დაეუფლება იურისტისათვის საჭირო მეთოდებს და აღნიშნულის საფუძველზე შეიძენს, სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის, სწავლის უნარებს და ღირებულებებს.

სტუდენტს შეუძლია დაეუფლოს სამართლის ისტორიულ, ფილოსოფიურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს. სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა სამართალში შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა და ამავე დროს კომბინირებულად მოახდინოს სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების კონცენტრაციით ინდივიდუალური პროფილის ფორმირება.

სტუდენტს უფლება აქვს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ისწავლოს არაიურიდიული დისციპლინები, რაც საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა ცალკეულ სფეროებში და ამასთან ერთად დარწმუნდეს პროფესიის არჩევის სისწორეში.

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე სამართლის ბაკალავრის კურსდამთავრებულებს ექნებათ მაღალხარისხიანი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

სამართლის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავების შედეგად კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობა საჯარო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და კერძო სექტორში.

## 8. სწავლის შედეგები

### სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება	<p>ფილოსოფიური, ეკონომიკური, სოციოლოგიური, ისტორიული გარემოებების გათვალისწინებით კონკრეტულ სოციალურ გარემოში სამართლებრივი ნორმების, პრინციპების და თეორიების მნიშვნელობის გაანალიზების უნარი. არსებული თეორიების და პრინციპების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კრიტიკული გააზრების და სინთეზის უნარი. ქართული სამართლის ისტორიული განვითარების ეტაპები; ეროვნული სამართლის სისტემის, სამართლის სხვა სისტემებთან შედარება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროების მნიშვნელობა; სამართლის ნორმების განმარტების მეთოდები; კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოფხვრის ხერხები; სახელმწიფო მოწყობის საკითხები; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციური საფუძვლები, სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების დახასიათება; ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და ძირითადი პრინციპები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი დაცვის კონსტიტუციური გარანტიები; ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელობა; ადმინისტრაციული სამართალწარმოების სახეები და სპეციფიკურობანი; საჯარო სამართლის ქვედარგების რეგულირების სფეროები; კერძო სამართლის ცნებები, ძირითადი პრინციპები და სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ინსტიტუტები; კერძო სამართლის სტრუქტურა; ვალდებულებითი სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობა; სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებითი ურთიერთობების განსხვავება; სახელშეკრულებო სამართლით რეგულირებული ხელშეკრულების სახეების კლასიფიკაცია; სანივთო სამართლის არსი; საოჯახო-საქორწინო და მემკვიდრეობითი სამართლის საკვანძო საკითხები; შრომის სამართლის მნიშვნელობა; სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და კორპორაციული მართვის საკითხები; სამოქალაქო საპროცესო სამართლის მნიშვნელობა და სამართალწარმოების ზოგადი და სპეციალური წესები; სისხლის სამართალში მოცემული ცნებები; დანაშაულის სახეები და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სისხლის სამართლის პროცესის წყაროები, სამართალწარმოების რეგულირების მნიშვნელობა; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპების და წყაროების მნიშვნელობა; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის თავისებურებანი; საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტების სისტემა.</p>
-----------------------	---

<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად; პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი; დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი.</p> <p>პრობლემების გადასაჭრელად საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის, კერძო სამართლის და სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი მეთოდის გამოყენების უნარი; სამართლებრივი ტექსტის ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენების ან კომპლექსურად მეთოდების გამოყენების უნარი, რასაც შეარჩევს კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე; ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე ქმედების სათანადოდ კვალიფიკაციისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დადგენის უნარი; საკანონმდებლო ხარვეზების აღმოჩენის და მისი შევსების უნარი; სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა. კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევის, იურიდიული და ფიზიკური პირების ინტერესების სხვადასხვა ინსტანციებში დაცვის უნარი; სამართლებრივი მნიშვნელობის (პროცესუალური) დოკუმენტების შედგენის უნარი.</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>კონკრეტული გარემოებების ანალიტიკური და ლოგიკური გააზრების საფუძველზე სათანადო დასკვნის უნარი.</p> <p>სამართლებრივი პრობლემების გადასაწყვეტად სამართლის ყველა წყაროს მოძიების და განმარტების საფუძველზე დასკვნის უნარი; დებატებში ჩართვის, განსხვავებული აზრის გაგებისა და სამართლებრივი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; ფაქტებიდან სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებისა და დასაბუთებული სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების უნარი; სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი; ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი; ჯგუფში მუშაობის უნარი; ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი. კანონმდებლობის ქართულ და უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი; ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი; ინტერდისციპლინურ და იურისტთა გუნდში შედეგიანი პროფესიული მუშაობის უნარი; საჯარო დაწესებულებებში შესაბამისი პროცედურების დაცვით და სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით მოქმედების უნარი.</p>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>სოციალური გარემოს და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი. აქვს პროფესიული თვალსაზრისით განვითარების უნარი; შიდასახელმწიფოებრივ სამართალში და საერთაშორისო სამართალში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებებში სიახლეების, კანონმდებლობაში ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერული სიახლეების გაცნობისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.</p>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>აქვს განსხვავებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების და პატივისცემის უნარი; სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი; მოტივირებულია მონაწილეობა მიიღოს ღირებულების ფორმირების პროცესში და მათ დამკვიდრებაში. აქვს იურისტის პროფესიისათვის დამახასიათებელი ეთიკური ფარგლების ცოდნა და სოციალური პასუხისმგებლობის შეგნება; სამართალში მიღებულ ცოდნის ინდივიდთა უფლებების და დემოკრატიული ფასეულობების დაცვაში ეფექტურად გამოყენების უნარი;</p>

## 9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა იურისტის რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სტანდარტების გათვალისწინებით, სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად კომპეტენციების გამომუშავება ხორციელდება სხვადასხვა ელემენტების გათვალისწინებით.

### სამართლის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო ელემენტები:

- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები/მოდულები - 141 კრედიტი;
- ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები/მოდულები - 54 კრედიტი;  
(სპეციალიზაციის არჩევითი სასწავლო კურსის არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები);
- საფაკულტეტო არაიურიდიული სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი;
- თავისუფალი კურსები - 9 კრედიტი  
(თავისუფალი კურსები სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, წინაპირობის გათვალისწინებით);
- საბაკალავრო ნაშრომი - 6 კრედიტი  
(საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი დაიშვება საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო ელემენტების შესრულების და მინიმუმ 234 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში).

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა სემესტრების მიხედვით

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>1. საფაკულტეტო არაიურიდიული სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი</b>														
<b>უცხო ენა - 24 კრედიტი</b>						6	6	6	6					
ა)	<i>ინგლისური ენა - დამწყებთათვის</i> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)													
1.1	<i>ინგლისური ენა I (Elementary A1)</i>	ENGL B 001	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
1.2	<i>ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)</i>	ENGL B 002	6	65	85		6							ENGL B 001
1.3	<i>ინგლისური ენა III (Intermediate B 1)</i>	ENGL B 003	6	65	85			6						ENGL B 002
ბ)	<i>უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით</i> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)													
1.1	<i>უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2</i>	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
1.2	<i>უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1</i>	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	65	85		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
1.3	<i>უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2</i>	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	65	85			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
1.4	<i>დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (სამართალი)</i>	ENGL B 017 GERM B 017 FREN B 017 RUSS B 017	6	65	85				6					ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
1.5	საოფისე პროგრამები	COMP B 125	3	35	40		3							წინაპირობის გარეშე







3.2.7	განათლების სამართალი	LAW B 139	6	65	85								6	LAW B 108
<b>3.3</b>	<b>კერძო სამართლის მოდული</b>													
3.3.1	მოდერნული საკუთრების შესახებ	LAW B 140	3	35	40					3				LAW B 111
3.3.2	კაზუსის განხილვის მეთოდიკა კერძო სამართალში	LAW B 141	3	35	40					3				LAW B 115
3.3.3	სანოტარო სამართალი	LAW B 142	3	35	40					3				LAW B 115
3.3.4	საერთაშორისო კერძო სამართალი	LAW B 143	6	65	85							6		LAW B 115 LAW B 113
3.3.5	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	LAW B 144	3	35	40							3		LAW B 115 LAW B 117
3.3.6	დაზღვევის სამართალი	LAW B 145	3	35	40								3	LAW B 113
3.3.7	სამრეწველო საკუთრების სამართალი	LAW B 146	6	65	85								6	LAW B 119
3.3.8	ფასიანი ქაღალდების სამართალი	LAW B 147	3	35	40								3	LAW B 113
3.3.9	გაკოტრების სამართალი	LAW B 148	6	65	85								6	LAW B 113 LAW B 115
3.3.10	მტკიცება და მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში	LAW B 167	6	65	85							6		LAW B 115
3.3.11	სამოქალაქო საპროცესო დოკუმენტების შედგენა	LAW B 168	3	35	40								3	LAW B 115
<b>3.4</b>	<b>სისხლის სამართლის მოდული</b>													
3.4.1	კაზუსის განხილვის მეთოდიკა სისხლის სამართალში	LAW B 149	3	35	40							3		2.4 სისხლის სამართლის მოდულის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი
3.4.2	იურიდიული ფსიქოლოგია	LAW B 150	3	35	40							3		2.4 სისხლის სამართლის მოდულის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი
3.4.3	კრიმინოლოგია	LAW B 151	6	65	85							6		LAW B 122
3.4.4	საერთაშორისო სისხლის სამართალი	LAW B 152	6	65	85								6	2.4 სისხლის სამართლის მოდულის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი
3.4.5	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია	LAW B 153	3	35	40								3	LAW B 122
3.4.6	ვიქტიმოლოგია (ქართულ და ინგლისურ ენაზე)	LAW B 154	3	35	40								3	LAW B 122
3.4.7	კრიმინალისტიკა	LAW B 155	6	65	85								6	LAW B 123
3.4.8	სასჯელალსრულების სამართალი	LAW B 156	3	35	40								3	LAW B 120
3.4.9	მტკიცებითი სამართალი	LAW B 157	3	35	40								3	LAW B 123
3.4.10	ადამიანის უფლებები სისხლის	LAW B 158	3	35	40								3	2.4 სისხლის სამართლის მოდულის ყველა

